


ოთხშაბათი. იანვრის 2. ფასი 15 კაპ. ჩერ. 1924 V — № 1

## სალამი ქართულ თეატრს!

38/2



გ. ერისთავი.



ა. ცაგარელი.



ქ: მესხი.



ნ. გაბუნია.



ვასო აბაშიძე.



ვ. გუნია.



ნ. გოცირიძე.

24

**შინაარსი № 1—1924 წ.**

**მეთაური**—გამარჯვების ზეიმი
**ივ. გომართელი**—ორი იანვარი და ჩვენი თეატრი
**ს. მგალობლიშვილი**—ქართული დასის მოგზაურობა ქართლში
**ეფ. მეხხი**—ორი იანვრის გახსენება
**ტრ. რამიშვილი**—სიყვარულის საზღვართან, დრამა 3 მოქ.
**ნ. შიუკაშვილი**—ქართული მეტყველება სათეატრო ინსტიტუტში
**ტერენტი გრანელი**—ლოცვა გაფრენისათვის
**დ. კობიძე**—გასვენება ღამეებით
**კოკი ებრალიძე**—პასტორალი
**კაიუს პელი**—წამება ქვებთან
**ნ. გვანცალაძე**—ვენერას თვალები
**რაჟდენ კალაძე**—როგორი ხელოვნება გვჭირია
**ა. ეიხენვალდი**—ოპერა „დაისის“ შესახებ
**მ. ხერხეულიძე**—ჩვენი საფლავები
**არჩილ ვადაჭკორია**—*** ლექსი

**მ უ შ ა - მ წ ე რ ლ ე ბ ი**

**შ. ნავთლუღელი**—სურვილი
**იოსებ იმედაშვილი**—დავიწყებული მწერალი ქალი
**სახელოვნო ქრონიკა**
**სურათები**


## კორესპონდენტ. საყურადღებოდ

I. „თეატრი და ცხოვრება“ თქვენი იარაღია ხელოვნების ყოველ დარგისა და ქვეყნის წინსვლის სამსახურისათვის.

II. სწერეთ მხოლოდ სიმართლე. ანგარებით და პირადი ანგარიშით რედაქცია შეცდომაში არ შეიყვანოთ: იყავით მართალი, პირდაპირი და სამართლიანობის მოციქული.

III. ყურადღებით და სიყვარულით მოეპყარით ხელოვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ უანგარო მუშაკს.

IV. განსაკუთრებით აღნიშნეთ ყოველი ნაბიჯი სახალხო-სასოფლო თეატრის მუშაკთა და სახალხო სახლების ვითარება.

V. ყოველი ცნობა დაბა-სოფლისა, სახალხო თეატრთა და საერთოდ ხელოვანთა ცხოვრებიდან დაუყოვნებლივ მოაწოდეთ რედაქციას ყოველ კვირა.

VI. ხათრით ულირსი არ აქოთ, შურისძიებით—ღირსეული არ დაამციროთ.

VII. ერთგულადავრცელეთ ხალხში თქვენი ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ და მის საგამომცემლო ფონდის გაძლიერებას ხელი შეუწყეთ.

VIII. სწერეთ ქაღალდის ცალ მხარეზე, გარკვევით და ნათლად.


### მიიღება ხელის მოწერა

**1910** XIV **წელიწადი მეთოთხმეტე** XIV **1924**

# თეატრი და ცხოვრება

**სათეატრო-სახელოვნო სურათებიანი ყოველკვირეული უპარტიო ჟურნალი იუმორისტული განყოფილებით**

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკობა, საზოგადოებრივი ცხოვრება.

**ჟურნალში დაიბეჭდება:** წერილები, პიესები, ლექსები, მოთხრობები, სცენები, მინიატიურები, სათეატრო-სამწიგნობრო-სახელოვნო ქრონიკა ჩვენი და უცხოეთისა, რეცენზია-მიმოხილვანი, მოღვაწეთა სურათები, შარჟები და სხვა.

**მონაწილეობენ ცნობილი დამსახურებული და ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები.**

**ფასი:** წლიურად . . 10 მან. ჩერ.
ნახევარ წლით . 6 „ „
თითო ნომერი . 15 კაპ. „

მოიკითხეთ რკინის გზის კიოსკებში და გაზეთის გამყიდველებთან.

**მიიღება დასაბეჭდათ განცხადებანი დაკლებულ ფასებში.**

**რედაქცია:** თავისუფლების მოედანი, ყოფ. ქარვასლა თამამშევისა, შიგნით მეორე სართულზე.

რედაქტორის პირისპირ ნახვა შეიძლება 11—12 ს. რედაქციაში.

რედაქტორი: **იოსებ იმედაშვილი.**

გამომცემელი: **ომში დაჭრილთა შრომის არტელი „ახალი წრე“.**

# თეატრი და ცხოვრება

1910-1924

წელიწადი XIV

№ 1

ფასი 15 კ. ჩერვ.

„თეატრი და ცხოვრება"
ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი

რედაქციის დრ. ბინა: თავისუფლების მოედანი, ყოფ. თამამშევის ქარვასლა, მეორე სართულზე № 60C.

ფოსტით: ტფილისი. რედ. „თეატრი და ცხოვრება"
იოსებ იმედაშვილს.

თეატრი. პოეზია. მუსიკა. მხატვრობა. ქანდაკობა. საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ. || ორშაბათი, იანვარი 2 || გამოცემა 1924 წ.


## ი ა ნ ვ რ ი ს 2

**გამარჯვების ზეიმი.**

დღეს ქართველი მსახიობი ზეიმობს და ამის მიზეზიც აქვს.

დღევანდელი დღე კერძოდ ქართველი მსახიობისათვის და საზოგადოდ ქართველისათვის, არა ერთის მხრივაა საყურადღებო:

**იანვრის 2-ს** (1850 წ.) აიხადა ქართული თეატრის ფარდა.

**იანვრის ორს** (1910 წ.) გამოვიდა ჩვენი სათეატრო სახელოვნო ჟურ. „თეატრი და ცხოვრება"-ს პირველი ნომერი.

**იანვრის ორი** საქართველოს სახალხო განათლების კომისარის შუამდგომლობით მთავრობამ **ქართველი მსახიობის დღესასწაულად** დააკანონა. ამავე დადგენილებით ორ იანვარს საქართველოში გამართულ წარმოდგენების შემოსავალის ნახევარი **მსახიობთა კავშირისთვის** უნდა გადირიცხოს.

ამ დადგენილებით ბოლო უნდა მოეღოს ქართველი მსახიობის უუფლებობასა და ნივთიერ სივიწროვეს.

იყო დრო, როცა ქართველი მსახიობი „კომედიანჩიკად" (დაცინვით), პამპულად იყო მიჩნეული, საზოგადოების მეძხორცად... თითქო მსახიობად მარტო ის წყალწაღებული წავიდოდა, ვინც ცხოვრების სხვა ასპარეზზე ფეხს ვერ მოიკიდებდა.

და უფლებააყრილი მსახიობიც თავის საპატიო, მაგრამ ბევრჯერ გამწარებულ ცხოვრებას უაინაჩრობით აჯახირებდა.

სცენაზე მეფე—ცხოვრებაში გლახაკი,—მუდამ მეფე ლირი,—აი ქართველი მსახიობი წარსულში.

დაწიხლული, მოქალაქეთა ყველა წრიდან გარიყული.

ბენეფისსა და იუბილეზე თუ დაუფენდენ ფიანდაზს, ისიც სათვალსეიროდ.

დღეს კი იგი უფლებამოსილი ქურუმია კანონით.

დიდია ეს მოვლენა.

ქართველმა მსახიობმა გაიმარჯვა.

და ეს გარემოება უფრო დიდ მოვალეობას აკისრებს მას.

ქართველმა მსახიობმა ამიერიდან ჩვეულებრივის თავგამოდებით, ხელოვნების უანგარო სიყვარულით უნდა აღვიოს ის წმინდა ქურა, სადაც გიზგიზებს ადამიანთა მოდგმის ურთიერთ სიყვარულისა და ამაღლების ცეცხლი.

ამიერიდან ქართველი მსახიობი კიდევ უფრო მხნედ შეუდგება მშვენიერებისა და ჭეშმარიტების სამსახურს კაცთა საბედნიეროდ.

**ქართული სახიობა** ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის ბერკეტია, მთავარი ძარღვი, მისი ქურუმი—ახალი მოციქული.

ქართველმა მსახიობმა საუკუნის სამი მეოთხედი მანძილი დიდის ჭაპანწყვეტით გამოიარა,—გზა მისი ნარ-ეკლით იყო მოფენილი.

დღეიდან ვარდი და ია ეფინება: სამკალსამუშაო ფრიად დიდია, საპატიო, საამაყო.

ქართულმა თეატრმა და მისმა ქურუმმა—მსახიობმა უნდა აღადგინოს, გააკაფოს და ბრწყინვალე მომავლისკენ გეზი გაუკაფოს დღეს სულდავრდომილთ, სასოწარკვეთილთ, თვალღია მძინართ.

ქართველმა მსახიობმა ხელოვნება ცხოვრებას უნდა გადააჯაჭვოს, ცხოვრება ხელოვნებას დაუკავშიროს და მით ხალხი ახალ ცხოვრებას აზიაროს.

ამიერიდან ხელოვნების ტაძარში აღარ უნდა იყვენ კათაკმეველნი, არამედ მართლმორწმუნენი.

მისმა ხელოვნებამ ხალხის გულის გული, ყრუმუნჯი სოფელი უნდა აამეტყველოს, გაადამიანოს, მზეს შეახედოს.

ჩვენი ჟურნალი **„თეატრი და ცხოვრება"** როგორც დღემდე, დღეიდანაც საზოგადოებისა და ხალხის თანაგრძნობით გამხნევებული, შეძლებისდაკვალად უანგაროდ ემსახურება ქართველ მსახიობთ და მის სამსხვერპლოს—ხელოვნების ტაძარს.

დიდება და ნეტარება სამშობლო სცენის გარდაცვლილ უანგარო მოღვაწეთ, გამარჯვება მის აწინდელ მუშაკთ!

ჩვენი გულითადი სალამი!

ვაშა ქართულ სახიობას, მის ჭეშმარიტ თანაზიართ—სცენის ქურუმთ,—

ვაშა ქართველ მსახიობს!

გაუმარჯოს მის მიზანსა და წინსვლას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი იანვარი და ჩვენი თეატრი

რა დანიშნულება აქვს თეატრს?

არის ზოგჯერ ასეთი კითხვა კამათის დროს, გაზეთში, ჟურნალში.

ასეთი კითხვა თავისთავად შეცდომაა.

თეატრისათვის არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული მიზანი და დანიშნულება.

რატომ?

პირველი იმიტომ, რომ მარადიული ამ ქვეყანაზე არაფერია.

მეორე იმიტომ, რომ თეატი არის ცოცხალი ნაწილი ცხორებისა და თუ ცხოვრებას უკან ჩამორჩა, უსათუოდ მოკვდება.

ცხოვრება მუდამ მოძრავია, ის წინ მიდის ზოგჯერ ნელის ნაბიჯით, ზოგჯერ გაჩქარებით ზოგჯერ მიექანება, მიჰქრის.

მას თან მისდევს ადამიანის ფიქრი და გრძნობა. იცვლება ცხოვრება—იცვლება ადამიანიც, — ეს დღეს საანბანო ჭეშმარიტებაა.

ამიტომ, ის რაც შეეფერებოდა ძველ ელლინს ან რომაელს, დღევანდელ ევროპიელს აღარ დააკმაყოფილებს.

სხვადასხვა დროს სხვადასხვა არის ადამიანის შეხედულება, გემოვნება,—სხვა და სხვა არის და უნდა იყოს ამიტომ თეატრიც.

ის ზოგჯერ სკოლაა, ზოგჯერ ტრიბუნა, ზოგჯერ დამრიგებელი, აღმზრდელი, ზოჯერ მებრძოლი; ზოგჯერ კი მშვენიერი სანახაობა, ესთეტიური გასართობი.

როდესაც საზოგადოება დაყოფილია სხვადასხვა კლასებად, თეატრმა რომ ერთი სახე ატაროს, შეუძლებელია.

კლასობრივი დაყოფა, შეგნება, გემოვნება, იდეალი თეატრსაც ანაწილებს.

თეატრი ჩაისახა ჩვენში მაშინ, როდესაც ქართველი ერი დაუძლურებული იყო ეკონომიურად, სოციალურად და პოლიტიკურად ხომ—მკვდარი.

აუცილებელი იყო ერის აღდგენა, გამოცოცხლება.

ეს როლი იკისრა ჩვენმა ნორჩმა თეატრმა.

რა იყო მიზეზი ერის დაქვეითებისა, დასნეულებისა?

მიზეზი გარეშე, მიზეზი შინაგანი.

თავდაპირველად აუცილებელი იყო შინაგანი მიზეზის მოშორება, შიგნიდან გაჯანსაღება ქართველი ერისა.

ამისათვის კი საჭირო იყო გაშუქება, გამომზეურება ყველა იმ ნაკლისა, რაც ერის სხეულს სწამლავდა.

ჩვენმა თეატრმა ეს საქმე იკისრა.

ქართველ ადამიანს ერთი დიდი ღირსება აქვს: მას შეუძლია საკუთარ თავს განზე გაუდგეს, შორიდან შემოჰხედოს და მისი ნაკლი დამცინავი სიცილის ანკესზე წამოაგოს.

ეს ღირსება თან დაჰყვა ჩვენს თეატრს: იმან საჯაროდ სცენაზე გამოიტანა ჩვენი ეროვნული ნაკლი და დამცინავი სიცილი დააყარა მას.

მას აქეთ მოვდივართ და დავცინით ჩვენ საკუთარ თავს, დავცინით და ვიცინით.

დავცინით ერთად ერთი მიზნით—რომ გავსწორდეთ, ავმაღლდეთ.

სიცილი კი თავდებია ამაღლებისა.

ამ სიცილში ზოგჯერ ცრემლებია, მწარე სევდა, ზოგჯერ—მადიანი ხითხითი, უდარდელობა, ხოლო ის ყოველთვის კეთილშობილია, იმედიანი.

ორ იანვარს დღესასწაულია ქართული თეატრის, ამ საუკეთესო ტაძრის, ჩვენი ერის განწმენდისა და ამაღლებისათვის.

ორ იანვარს ჩვენ უნდა გავიხედოთ უკან და მადლიერებით მოვიგონოთ ყველა ის ხუროთმოძღვარი, რომელთაც ააგეს ეს ტაძარი,—ყველა ის ქურუმნი, რომელნიც ამ ტაძარში ,,აღავლენდენ ლოცვასა წმინდას“ ჩვენი ერის საკეთილდღეოთ.

შეგნებული ერისათვის წარსული, აწმყო და მომავალი ერთი მთლიანი და განუყოფელი მოვლენაა.

ჩვენ ისე უნდა ვცხოვრობდეთ წარსულში, როგორც აწმყოში და წარსულიც ჩვენს მეხსიერებაში უნდა სცოცხლობდეს.

ამაშია სიყვარული და პატივისცემა ერის წარსულისა.

ვისაც ეს არ გააჩნია, მას მომავალიც არა აქვს.

როდესაც ჩვენ აღვადგენთ მეხსიერებაში ჩვენი თეატრის წარსულს, ჩვენს წინაშე აღიმართებიან ერისთავი და ანტონოვი, უფრო ახლოს კი ცაგარელი.

ეს სამი პიროვნება—ჩვენთვის საკმაოდ დიდი—ბურჯია ჩვენი თეატრისა.

მათ დაანახვეს ქართველ საზოგადოებას მისი სახე—სახე მრუდე, ზღმურდლიანი; საზოგადოებამ დაინახა საკუთარი თავი და წასკდა სიცილი; ეს სიცილი იყო თავდები მისი გასწორებისა და ამაღლებისა.

ძირს ძველი და დრომოჭმული ცხოვრება; ჩვეულება, წინ—განახლებისაკენ, განათლებისაკენ. აი რა გაისმოდა ამ სამების საყვირიდან.

ნაკლი ჩვენი საზოგადოებისა, შეუგნებლობა, წოდებრივი ყოყოჩობა, ცრუმორწმუნეობა მათმა ნიჭმა გამოამზეურა მოურიდებლად. პიროვნება დაჩაგრული წოდებისა, გლეხობისა ამათ აიყვანეს ღირსეულ და საპატიო სიმაღლეზე და ამით ერის აღდგენას, გაჯანსაღებასა და გაერთიანებას საძირკველი ჩაუყარეს.

განსაკუთრებულის სიცხოველით უნდა ვგრძნობდეთ გლუხარიჩის, ზურაბის და ასიკოს ღვაწლს დღევანდელ დღეს და მათდამი განსაკუთრებული პატივისცემით ივსებოდეს ჩვენი გული.

ივ. გომართელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული დასის მოგზაურობა ქართლში

(მცირე რამ მოგონება)

გიორგი ერისთავის შემდეგ ქართულს თეატრს თითქო შუქი ჩაუქრა, მხოლოდ სამოციან-სამოცდა ათიან წლებში შესდგა მოყვარულთა წრე, რომელიც კანტი-კუნტად მართავდა წარმოდგენებს სხვადასხვა კერძო სახლებში.

ეს მოყვარულთა წრე შესდგა ანტონ ფურცელაძის თაოსნობით; დასში იყვნენ ქალთაგან: ელენე ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის შვილი, ბაბო ხერხეულიძე, მაშო ყიფიანი, ოლღა ყაზბეგი, ელენე ანტონოვსკისა, კაცთაგან— პოლიევქტო ბაქრაძე, კოტე ყიფიანი, დათიკო აბულაძე, ნიკო ავალიშვილი, სოსიკო თარხნიშვილი (ეკ. გაბაშვილის ძმა) და სემენარიის მოწაფენი, რომელნიც ჩუმად იღებდნენ მონაწილეობას— იასონ ნათაძე, სოსიკო ბაქრაძე (პოეტი), სვიმონ ნათაძე, შიო შიუკაშვილი და მე, ამ სტრიქონების დამწერი; ამ წრემ გააღვიძა ქართველ საზოგადოებაში თეატრისადმი სიყვარული. მოყვარულთა წარმოდგენები ავსებით ივსებოდა, ბილეთების შოვნა აღარ იყო ხოლმე.




ასე იღონღიალა თეატრის საქმემ სამოცდაათიან წლების მიწურულამდე. აი დაუდგა განთიადი; სამშობლოს გაცრეცილ ცაზე აღმობწყინდა მთელი გუნდი სამშობლო თეატრის დაფუძნებით გამსჭვალული: ილია, აკაკი, დიმიტრი ყიფიანი, ნ. ავალიშვილი, გ. თუმაიშვილი, ა. სარაჯიშვილი, ივ. მაჩაბელი (შემდეგში), სოსიკო ბაქრაძე. ამ გუნდმა მოჰფინა სამშობლო ქვეყანას ნათელ ჭეშმარიტებისა, გულს ნუგეში სცა სამშობლო თეატრის კვლავ განახლებისათვის.

ქართველი საზოგადოება ჩვენის ქვეყნის ყოველის კუთხისა ქართული თეატრის კვლავ აღდგენამ ზეაღიტაცა, გაცხოველდა მისი მაჯისცემა. დაუდგა თეატრს გაზაფხული, გულს იმედი დაგვესახა. საქართველოს თვალი და გული ტფილისისაკენ იყო მიპყრობილი. პროვინციელები გულის ფანცქალით მოველოდით გაზეთებს, რომ ახალი დასის შესახებ რეცენზიები წაგვეკითხნა.

უფრო გულის ფანცქალით მოველოდით ი შემთხვევას, ახალი დასი ღირსად გახდიდა თუ არა პროვინციას თვისი გამოსვლებით ზაფხულში. ამასაც მოვესწარით: 1879 წლის ზაფხულშივე მოვიდა გორს დავით ერისთავი, რომელიც მაშინ ხელმძღვანელობდა თეატრს, რომელმაც ქართულს სცენას შესძინა ნატო გაბუნია-ცაგარელი. მან გორში დაიქირავა არტისტებისათვის ოთახები დიდს ქუჩაზე, ზუბიევის სახლებში; გამოიკრა ქუჩებზე აფიშები. ჩვენ, მოყვარულთა წრეს, უკვე გვქონდა კარგა მოზრდილი [დარბაზი ქალაქის ბაღის როტონდაში, მდ. მტკვრის პირად, საპირფარეშოებით მოწყობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ინტელიგენცია გორისა—ქალი თუ კაცი შეიკრიბა გორის სადგურის ვაგზალზე სასურველი სტუმრების დასახვედრად.

გაჩერდა მატარებელი, ყველანი ვყელყელაობთ, ყველა ცდილობს, ვინ უწინ დაინახოს სასურველი სტუმრები. ყველას გული გვიფანცქალებს. აი ჩამოვიდნენ ვაგონიდან წყვილ წყვილად: მაკო და ვასო (საფაროვისა და აბაშიძე), ნატო და სიკო (გაბუნია და ცაგარელი), კოტე ყიფიანი, ზალიკო მაჩაბელი, ადამა ჩუბინიშვილი. შემოვეხვიევენით სტუმრებს და სათითაოდ დავიტაცეთ ოჯახებში, მხოლოდ ჭარგი მივიტანეთ ზუბიევის სახლში, სადაც ზოგიერთნი ღამით იძინებდნენ. ყოველ დღე ნადიმები, „უსაზღვრო სიხარული, სიამოვნება, გატაცება!!

მაკო და ვასო, ნატო და სიკო არშიყობდნენ, ერთმანეთს ეკეკურებოდნენ. გორში ჩაიყარა საძირკველი ამ წყვილების შეერთებისა: ნიჭმა ნიჭი გამონახა, ტოლმა ტოლი, გულმა გული იგრძნო და შეიტკბო ურთიერთი.

ორი დღე იყო წარმოდგენა; წარმოადგინეს „პეპო“, ვოდევილი „ბნელ ოთახში“, „გაყრა“, „ხათაბალა“ და სხვ.

ვისაც პირველ ხანებში არ უნახავს სცენაზე მაკო და ვასო, ნატო და ვასი, ასიკო კინტოს როლში, ამჟამად ვერ წარმოიდგენს, რა საუცხოვო, მომხიბლავი, ნეტარების აღმძვრელნი იყვნენ მაკო და ნატო! ორთავე შუატანისა, მკვრივი აგებულებისა, ცოცხალნი, ცქრიალანი, ჟუჟუნა და ეშხით სავსე შავი თვალებით, სპეტაკის შუბლით, ამასთან მკაფიო მეტყველება, ღიმილით ლაპარაკი!! დამატყვევებელი იყო კაცის ხარბი გულისა!.. მაკო, ნატო, ვასო სცენის ღმერთები იყვნენ. როტონდის დარბაზი გრგვინავდა ტაშით, ვაშა ძახილით!

„ბნელს ოთახს“ მე ვკარნახობდი. ისე გამიტაცა მაკოს თამაშმა, რომ კარნახობა დამავიწყდა, სრულიად გამოვლენჩდი და პირღია შევსცქეროდი ახალგაზრდა ღმერთს სცენისას. კულისებიდან წამომძახეს: „რას გაშტერებულხარ, რეპლიკა მიეციო“

ასე, პირველად ახალი დასი ეწვია გორს, რომელმაც ისე ალტაცებით მიიღო, ისე დააპურმარილა დასი, რომ მუდამ წელს გორის სტუმარი იყო. გორიდან დასი, გორის სცენის მოყვარულთა თანამშრომლობით, მიდიოდა ცხინვალს, ქარელს, ხაშურს, სურამს და ბორჯომს. სასიამოვნო იყო ქართული: მტკვრის პირას, ფართო მოედანზე იდგა დიდი ხის სარაია, ამ მინდორზე მთიდან ჩამოჰქონდათ კარგა მოზრდილი ტოტები ნაძვისა, ფიჭვისა, სოჭისა, ჩარგამდენ წყობისად და გაკეთდებოდა მშვენიერი ბაღი, ალაგ-ალაგ სკამებით გაწყობილი, სადაც წარმოდგენის შემდეგ იმართებოდა ნადიმი მაკინე ამირაჯიბის თაოსნობით, აქ გაიგონებდით ნამდვილს სიმღერებს: ციციაანთ „მრავალ-ჟამიერს“, „შეკრა წითელოს“, „ყურშაოს“, „კახუროს“ და „ჩონგუროს“.

მახსოვს ერთი ამბავი: 1881 წელს, მთის გასულს გვეწვია დასი. საშინელი დიდი წყლობაა, მტკვრის ხის ხიდი ზანზარებს, ტვირთიან ეტლებს აღარ უშვებენ, ვასო აბაშიძეს ველით, ადგენენ „ხათაბალას“ და „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. საღამოს მატარებელით მოვიდა ვასო. არ გაუვლია ერთს საათს, რომ გორის ხიდი წყალმა შუაზე გაგლიჯა.

დაიწყო კოკისპირული წვიმები, დასი დარჩა გორში. გაჩნდა დაუსრულებელი პურობა, ქეიფი, მხიარულობა!! ყველას კარი ღია იყო ძვირფასი სტუმრებისათვის, მათთვის არავის არა შურდარა. დასის გორიდან წასვლა რკინის გზით არ შეიძლებოდა. შევაბით საძნე ურემი, დავალაგეთ ბარგი, ჩავსხით ჩვენი ძვირფასი სტუმრები ურემში და კასპის სადგურზე გავისტუმრეთ ტირიფონის გზით.

კარგი დრო იყო: იმედების აღმძვრელი, დაჭმუნებული გულის ამამოძრავებელი, სულის აღმაფრთოვანებელი, დარდების დამავიწყებელი. მომავლის გამაჩირაღდნებელი!!

დიაღ! კარგი იყო!..

აკი ოქროს ასოებითაც აღიბეჭდა იგი ყოველი პატიოსანი ქართველის გულში!

**სოფრომ მგალობლიშვილი.**

# ორ იანვრის მახსენება



**ეფ. მესხი.**

სცენაზე გამოვიდა 1882 წ. 40 წ. იუბილე გადუხადეს 1922 წ.

ძველი მსახიობები მხოლოდ წარსულის მოგონებით ვცოცხლობთ და გვახარებს აწმყო.

ქართული თეატრის დღევანდელ დღესასწაულზე მინდა აღვადგინო ჩემს ხსოვნაში ის დრო, როდესაც ჩემს უფროს ამხანაგებთან ერთად ქართულ თეატრში ჩვენც ვდღესასწაულობდით ქართული თეატრის დაარსების დღეს.

პეტრე უმიკაშვილის პატარა, ერთ მოქმედებიანი სანახაობა „სამზადისი“. ეს იყო ცოცხლად აღებული სცენა 51-52 წლიან მაღალ საზოგადოებისა.

გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, ვახტანგ ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე, პლატონ იოსელიანი, ქეთევან ორბელიანისა, გაგარინისა და სხვა მრავალნი თავადნი. მათი მეუღლენი და ქალები დროს გასატარებლად, წარმოსადგენად ამზადებენ გ. ერისთავის ახლად დაწერილ პიესას „გაყრას“.

და აი ამ პიესის იმ დროინდელი რეპეტიცია, რომელსაც რეჟისორობს თვით ავტორი პიესისა—გ. ერისთავი—ცოცხლად დაასურათა პეტრე უმიკაშვილმა.

ჩვენც ეს „სამზადისი“ მოვამზადეთ და დავანახვეთ ჩვენს უკვე დიდის მანძილით წინ წასულს, ბევრად უფრო გათვითცნობიერებულს საზოგადოებას, თუ 50-იან წლებში პირველად როგორ ამზადებ-

დენ ქართულ წარმოდგენას, როგორ ირთობდენ თავს მაშინდელი თავადები. პიესაში საუცხოვოთ არის დასურათებული გ. ერისთავის რეჟისორობა. რეპეტიციას უნდა დაესწროს მთავარმართებელი ვორონცოვი და ყველანი დიდ მღელვარებას განიცდიან. პლ. იოსელიანი უსწორებს ენას გიორგი ერისთავს, ილია ცხარობს, რომ დაიწუნეს მსახიობათ და გიორგიმ როლი არ მისცა; რეპეტიციას ხელს უშლის შენიშვნებით და დაცინვით. დიმ ყიფიანი ერთობ ბოხი ხმით ლაპარაკობს და სიტყვებს ნახევრად ყლაპავს; ქეთევან ორბელიანისას, რომელმაც უნდა განასახიეროს თათელას როლი, სცხვენიან ზოგიერთ სიტყვების წარმოთქმისა და სთხოვს გიორგის შეასწოროს, გიორგი არა სთანხმდება, დაობენ. რუსეთუმე ვერ არის კარგი ლექსების წამკითხველი; გიორგი ერისთავი ასწავლის, როგორ უნდა წარმოსთქვას, თითონ დაიწყებს კითხვას, გაიხსენებს ახლად გარდაცვალებულ ნიკო ბარათაშვილს, მის „მერანს"—დაღონდება. კარგია ცოცხალი სურათი, იმ დროის დამახასიათებელი.

ჩვენი მსახიობები თურმე ძალიანა ჰგვანდენ მაშინდელ მსახიობებს და ამ პატარა სცენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე, მოეწონათ და რამდენჯერმე გაგვამეორებინეს.

51-52 წლის შემთხვევითი, დროს გასატარებელ წარმოდგენას, რასაკვირველია, არა ჰქონდა ხალხისათვის აღმზრდელობითი მნიშვნელობა, რადგან ეს არ იყო სახალხო საქმე.

აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ამ დროიდან იწყება მოთხოვნილება ეროვნულ წარმოდგენებისა; ამ მხრივ არის სადღესასწაულო 1851 წ. 2 იანვარი — როდესაც პირველად დაიდგა ქართული წარმოდგენა.

მას შემდეგ რამდენათ გაიზარდა, განვითარდა ქართული თეატრი, რომელსაც თან მიჰყვა აუდიტორია. თანდათანობით როგორ იცვლება ფერი, ზნე, ხასიათი და როგორია ამ ჟამად, ამას თვით ხედავს ჩვენი საზოგადოება. ზოგს უკვირს, ბევრს ვერა გაუგიარა ძველანდელ რეპერტუარისა. ამბობენ, კოტე მარჯანიშვილმა ძიებაში ერთი საუკუნით წინ გაუსწრო თეატრალურ ხელოვნებასაო. შეიძლება ეგრეც იყოს.

ყოველ შემთხვევაში მე ვხარობ და ვამაყობ, რომ ჩვენმა პატარა ეროვნულმა ხელოვნებამ გამოიღო ისეთი ჯანსაღი და ორიგინალური ნაყოფი, როგორიც კ. მარჯანიშვილია ამ დიდ სათეატრო ხელოვნების ოკეანეში, რომელსაც ეხლა ჩვენა ვხედავთ, კ. მარჯანიშვილმა სთქვა ახალი სიტყვა, მან გააკეთა ახალი საქმე და ამ ახალი სიტყვის მთქმელი, ახალი საქმის გამკეთებელი არის ჩვენი ეროვნული თეატრის ნაყოფი. როგორ ელფერს მიიღებს ხელოვნება მომავალში, ეს ვინ უწყის!

**სფ. მესხი.**

---

**ტრ. რამიშვილი.**

# სიყვარულის საზღვართან

პიესა სამ მოქმედებათ.

**მოქმედება მეორე***).

**ედიშ.** ნუღარ მკითხავთ! ჩემი ზეფირივით ნაზი და ეთეროვანი მეუღლე, თვისი ეშხით ფუროორს ახდენს მთელს იმ არე-მარეში· მიუხედავათ ფეხმძიმეობისა, ამას წინეთ ცოტას გაწყდა, კინაღამ წამართვა ერთმა ატროკეზულმა სოფლის დონ-ჟუანმა, გვარად შეხტაბერიძემ. ოი, შეახტეს იმას ეშმაკი და ქაჯი. ლამაზი ცოლის ქმარი, მუდამ სხვაგან დათარეშობს და ისეთ ამბებშია, რომ თქვენი მოწონებული! ცოტა არ იყოს, გუნებაში შემეშინდა, ვიფიქრე: ერთიც ვნახოთ გაუწყრა ჩემი გამჩენი და მართლა უბრუნოს გული მეთქი. მოიგონეთ ფაუსტიდან მეფისტოფელის სიტყვები: „დედაკაცი რომ ატყდება, ღმერთიც მაშინ გაუწყრებაო". რომ ვერაფრით მოვიშორე, მოვიგონე ხერხი და ჩავსვი კვახში: ერთხელ ჰანდრაკის თამაშობის დროს, სიტყვა ჩავუკარ! „ვინაიდან ჩვენ ერთმანეთის ცოლებს ვყვარობთ, მოდი ბარემ გავცვალოთ მეთქი". ეს ვუთხარი თუ არა, ისკუპა და ჰერი, ბიჭო! კიბეზე ჩარბენისას თავზე გადაახტა ჩვენი სოფლის მთავარდიაკონს, ეზოში თავი მიახალა ჰანდრის ხეს, ფეხი ჩაჰკრა გოგირდით სავსე გობში, გადაახტა მაღალ ღობეს, ჩავარდა თხრილში და ფეხი მოიტეხა; თურმე იმდენად შეშინებია, რომ ამბობენ: გადასახლებას აპირებს რაჭაშიო. (ელპიდას) მაშ მივდივართ ბერიეთში. გავყვ: მგზავრებით ზეგ, საღამოს მატარებლით. და მაზეგ დილით ჩვენსა მოვადღენთ ბრაგვანს, წარმოდგენილი მაქვს როგორ გაეხარდება ყველას, ისე მოგივლით, რომ ცივს ნიავსაც არ მოგაკარებთ. რა გინდა სულო და გულო! ჩვენი შხრიალას თევზები: ფრიტა, წვერა და კალმახი. რძე: ჩიტისა, ფურისა, და სხვა. პატივცემულ რქიან და ურქო პირუტყვთა, საჭმელებში ვიცი ყველაზე ძლიერ მოგეწონებათ ფრანგულად მოხრაკული ბაყაყი, ნამდვილი მწყერია.

**მერ.** (შუა კარებიდან შემოდის და შედის ვახტანგთან მარჯვნივ კარებში).

**სალ.** (გააჟრჟოლებს).

**ელპ.** (თავს დაბლა დახრის და თვალებზე ხელებს მიიფარებს).

---

*) იხ. „თეატრი და ცხოვრება" 1923 წ. № 1, 2 და 3.

# საუბარი

## სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტის და პროლეტკულტის დრამ. სტუდიის მასწავლებელ-ლექტორ ნ. შიუკაშვილთან.



დრამატურგი
**ნიკ. შიუკაშვილი.**
სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტის და პროლეტკულტის დრამ. სტუდიის მასწავლებელ-ლექტორი.

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა დრამატურგ ნ. შიუკაშვილს ქართული მეტყველების შესახებ, რომელმაც შემდეგი გაგვიზიარა.

### ქართული მეტყველება სათეატრო ინსტიტუტში.

უკანასკნელი ათიოდე წლის განმავლობაში ჩვენს ყურადღებას იქცევდა რუს მსახიობების მეტყველება (დიქცია). ზოგიერთ ბგერათა გამოთქმა იყო ისეთი ჩვენთვის არა ჩვეულებრივი, თუ გნებავთ—უცნაურიც კი, რომ რუსული სცენის მეტყველებას ერთგვარ პრეტენციოზობასაც კი ვწამებდით. ყოველი ეს სტოვებდა არასასიამოვნო შთაბეჭდილებას არა მარტო ჩვენ—კავკასიელებზედ, არამედ თვით აქაურ რუსებზედაც კი. მაგალითად ასეთი წარმოთქმა—„სკუშნო", „კანეშნო" და სხ. ეს, რასაკვირველია, აიხსნება იმით, რომ ჩვენ ყველანი და თვით აქაური რუსებიც მიჩვეულნი ვიყავით (და ვართ)—„სკუჩნო", „კანეჩნო", და არა „სკუშნო", „კანეშნო".

რუსეთის თეატრებს საქმე არა აქვს, თუ ვინ როგორ მეტყველობს აქა თუ იქ რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე: სცენაზე უნდა გაისმოდეს დახვეწილი რუსული ენა—მოსკოვური გამოთქმა, გაწმენდილი ყოველგვარ პროვინციალიზმებისგან.

ჩვენს ქართულ სცენას დღემდე არ ეცალა ასეთ „წვრილმანებისთვის", უკეთ ვსთქვათ—ქართული მეტყველების უსახო არევ-დარევა არავის მიაჩნდა მომაკვდინებელ ცოდვად, გარდა ორიოდე „გადარეულისა" ქართულ ენაზე! და რაც ხდებოდა და დღესაც ხდება ამ მხრივ ქართულ სცენაზე, ყველამ კარგად იცის.

კიდევ არაფერი, თუ ჩვენ სცენაზედ იდგმის ჩვენივე „შინაურული" პიესა; გოგოლის გოროდნიჩისა არ იყოს—„ღმერთმა უწყის, იქნება იქ ესეც უნდა", მაგრამ კლასიკურ, ნათარგმნ პიესებში-კი საშინელ შთაბეჭდილებასა სტოვებს მთელი ეს საქართველოს პროვინციალურ მეტყველების მრავალფეროვნება!

ამის შესახებ სამდურავი ბევრი გაისმოდა, მაგრამ პირველი აქტიური ნაბიჯი ამ უდიდესი ნაკლის აღმოსაფხვრელად გადასდგა მოქ. აკაკი ფაღავამ და ეს ნაბიჯი ბუნებრივად დაუკავშირდა მისივე სტუდიის დაარსების ფაქტს. ჯერ ისევ შარშან მოქ. ფაღავამ მოისურვა თავის სტუდიაში სპეციალურ

---

**ედიშ.** არაფერია, წინად ცაცამაც აგრე იტკიცა მაგრამ მერე ისე შეეჩვია, რომ ეხლა იმაზე გატაცებული ბაყაყიჭამია, მგონი, პარიზშიაც ვერა ნახოთ. მუდამ დილით ორი-სამი ცოცხალი ბაყაყუნა უთუოდ უნდა გადაყლაპოს, დიახ, ჩემო ბატონო, ასე იციან ჩვენში. იქ, რა თქმა უნდა, მუსიკითაც გავერთობით. (მიჰხედავს ხურჯინს) მართლა ჩვენებმა ცოტაოდენი ხილი და სხვა რაღაცეები გამოგიგზავნეს. ელპიდას თაფლი, ჭაჭაპური, გიორგის სახთლის არაყი და ჩემი ვენახის ნაფეთქი ღვინო. შამპანიურია, შამპანიური, ქალბატონო სალომე ჩაიბარეთ!

**სალ.** გმადლობ, შენი ჭირიმე, გმადლობ.

**ედიშ.** ღირს-კი (ბოლთას სცემს) მაგაზე ლაპარაკი! სხვა! მოყვრებო თქვენს თავს რაღაც უნდა იყოს. გეგონათ ვერ შევატყეთ?.. ყველანი საეჭვოთ გამოიყურებით, აქაურობას ბინდბუნდი გადაკვრია, ჰაერი თითქოს დამძიმებულა (ელპიდას), ნათლია ჩემი ძალზე გაფითრებული მეჩვენება, მის მზიურ სახესა და თვალებში რაღაც ჩემთვის გამოუცნობი სევდავარამი აღბეჭდილა. ქალბატონი სალომეც ხელებს ასავსავებს. რაშია საქმე?.. აბა გიორგი, გამიკეთე ინფორმაცია!

**სალ.** ვიღუპები, ვიღუპები!

**გიორ.** ჩვენსა გადატრიალება მოხდა.

**ედიშ.** რომელსაც ალბათ წინ უძღოდა რევოლიუცია.

**გიორ.** არა, ყველაფერი მორიგებით გათავდა.

**ედიშ.** არც ერთი შეტაკება, არც ერთი ტრაღიკული ჟესტი?

**გიორ.** (ნერვიულად წამოდგება) ახ, მეგობარო რა შენი ოხუნჯობის მცხელა, თავზე ცეცხლი მეკიდება. (გაივლ-გამოივლის).

**ედიშ.** უკაცრავად, უკაცრავად. ეხლა მეცა ვხედავ, რომ რაღაცაში გადავაჭარბე, ხუმრობა იქით იყოს და მართლა რა მოხდა?

**გიორ.** ოჯახი დამენგრა.

**ედიშ.** რას ამბობ, ხომ არ შეიშალე?

**გიორ.** მე და ელპიდა გავიყარენით.

**ედიშ.** ვაი, შენ ჩემო თავო! მიზეზი?

**სალ.** ვაი, ვაი, ვაი!

**გიორ.** სხვა უყვარს. როგორც მოსალოდნელი იყო გულწრფელად გამიზიარა თავისი გულისნადები და აი დღეს ან ხვალ კიდეც გამშორდება.

**ედიშ.** ეგ სულ სხვა საქმეა. რაკი ასეა, მეც რაღა მეთქმის, ქალი პიროვნებაა და, როგორც ასეთი, თვის არჩევანში მუდამ თავისუფალი. (ელპიდას) ეხლა ნება მიბოძეთ გკითხოთ, თუ ვინ არის თქვენი სიყვარულის ობიექტი?

მეცადინეობის მოწყობა ქართული მეტყველების (დიქციის) განსამტკიცებლად, მაგრამ ტეხნიკურმა პირობებმა ხელი შეუშალეს; მხოლოდ წელს მოქ. ფალავას ეს ნაალერსევი გადაწყვეტილება მთლად ვაიზიარა თეატრების სამხატვრო საბჭომ და სათეატრო ინსტიტუტში ქართული მეტყველების საგანს დათმობილი აქვს პირველი ადგილი! მომავალი ქართული სცენის მსახიობნი დიდის შეგნებით და ხალისით ისწორებენ პროვინციალურ გამოთქმას, უშნო კილოს და ანსახიერებენ ქართული ენის მუსიკას.

ქართულ მეტყველებას სათეატრო ინსტიტუტში დასახული აქვს სრულიად გარკვეული საპროგრამო მიზნები: 1) მტკიცე დიქცია, 2) მოსპობა პროვინციალური კილოსი, 3) ქართული ენის ბგერათა სახიერი გამოთქმის შეთვისება, 4) მოსპობა უშნო, ვულგარული მეტყველებისა და 5) მეტყველების მუსიკის ძიება-შეთვისება.

როგორც ჰხედავთ, დიდი და მძიმე ვალია ნაკისრი; როგორ შესძლებს სათეატრო ინსტიტუტი ამის შესრულებას,—მომავალი გვიჩვენებს. ეს არის პირველი ნაბიჯი, სრულებით ახალი, მძიმე საქმე და, უნდა ვიფიქროთ, უცებ ვერ მოხერხდება მთლად საქმის მოვლა.

ერთია მხოლოდ ცხადი: სულ მოკლე ხანში ინსტიტუტის ახალგაზრდობამ თავიდან უკვე აიცილა ბევრი ისეთი ნაკლი, რომელიც ძველ მსახიობს თან სდევდა მთელ მის სასცენო მოღვაწეობის სიგრძეზე...

ნ. შიუკაშვილი.

## ლოცვა გაფრენისათვის

წამი ალმაფრენის და ფიქრი ნაჩვევი.
ღმერთო! გამაფრინე და ქრისტე მაჩვენე.

ხელს მაღლა აგიშვერს, ცოდვა ადამისა.
ღმერთო! გამაგიჟე, და შენვე დამიცავ.

ნეტავ ზღვის ძახილზე გრიგალს გავეტაცე.
ღმერთო! გამაღვიძე მე სხვა პლანეტაზე.

მიმაქვს პანაშვიდი, ვარ ღია ბაღისებრ.
ღმერთო! დამამშვიდე, და ძილი მაღირსე...

ტერენტი გრანელი.



**ქართული სცენის პირვანდელი მსახიობქალნი, დიმიტრი ყიფიანის ასულნი.**

ელენე—ანტ. ლორთქიფანიძისა და მარიამ—დავ. ქართველიშვილისა. სცენაზე გამოვიდნენ 70-იან წლებში. აწ გარდაცვალებულნი.

**იორ.** (წამის შემდეგ) აი, ეს ჩვენი ახალგაზრდა მგოსანი.

**ედიშ.** (შერმანდოსკენ მიტრიალდება) ხა, ხა, ხა, ხა! აი თურმე სად გაუშლია ჩვენს ფიგაროს გუდანაბადი.

**ელპ.** (შეკრთება და ფრიად გაოცებული ერთის წამით ედიშერს შეხედავს).

**შერმ.** ფრთხილად იყავით, ბევრს არ მოგითმენთ.

**ედიშ.** ქ-ნო სალომე, შუბლი გახსენით. ჯერ კიდევ არაა საქმე წაგებული.

**სალ.** შენ გენაცვალე, შენ გენაცვალე!

**ედიშ.** ევრიკა!

**გიორ.** ედიშერ, რა ყოფა გაქვს, რაშია საქმე?

**ედიშ.** იმაშია, რომ ეს ტიპი (შერმანდოზე) ერთ და იმავე დროს მგოსანი სართანიძეცაა და შენი წილი შეხტაბერიძეც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს უფრო გაბედულია და თუ ოჯახში შემოგექრა, მშვიდობით: ცოლსაც წაეპოტინება და ცოლის დასაც. თუ არა ეს ნაკლი, ისე ბაჭად ბიჭი, ვით—უკეთესი: ნიჭიერი, გულკეთილი, ლამაზი, განათლებული ქეიფ-თამადობაში სწორ-უპოვარი, „ცის მღერა, ტანციობა, მთელი ქვეყნის ამბავი“. (ელპიდას) რომ კიდეც მომკლათ, ამ ქორწინებაზე ვერ მოგიწერ ხელს.

**შერმ.** ეს არცაა საჭირო, თავს ნუ იწუხებთ.

**ელპ.** (ედიშერს) მიზეზი?

**ედიშ.** აკი მოგახსენეთ, მაგრამ ვინაიდან თქვენი დაჯერება არც ისე ადვილია, ამიტომ აჰ საქმეს გავყვეთ კვალ დ კვალ (შერმანდოზე). მაგაზე ძველი ნისიებია დარჩენილი. თუ უნდა კიდევ იქონიოს ჩვენთან რაიმე საქმე, ჯერ ის გაგვინაღდოს.

**ელპ.** არა მესმის რა მაგ ქარაგმისა...

**შერმ.** და ვერც გაიგებთ.

**ელპ.** (ედიშერს) გარკვევით სთქვით თქვენი აზრი!

**შერ.** შეუძლებელსა სთხოვთ, ეს მის ძალ-ღონეს აღემატება.

**ედიშ.** რაკი უზენაესმა გარემოებამ ასე მოიტანა, დე ამ ინტიმურ წრეში გაირჩეს ეს საქმე (ელპიდაზე) თავმჯდომარე, (გიორგიზე და სალომეზე) სასამართლოს წევრები, (თავის თავზე) ბრალმდებელი და (შერმანდზე) ბრალდებელი, თუმცა არა ბოროტი. მგოსანო, ომი იწყება და, ვით მოითხოვს ჩემი ტაქტიკა, გადავდივარ с места в карьер, შეტევაზე. ვერ ვიტყვი, ეს მისია იოლი იყოს. მიუხედავად ამისა, სხვა გზა არაა, უნდა ვიტვირთო.

**შერ.** მაშ ამაღამ ადამიანის უმშვენიერესი გრძნობა უნდა წარსდგეს მდაბიო მოქალაქის სამსჯავროს წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გასვენება ღამეებით

მთასავით სდგანან მკვდარი დღეები...
მშვიდობით ჩემო ძველო ნუგეშო!
მიმასვენებენ მე ღამეები
და ირგვლივ შავი ნისლი თარეშობს

წვიმიან ქარში გადატყდა შავად
ჩემი ცხოვრების ბოროტი სარკე
და მწვერვალიდან ვიღაც დაეშვა
კუპრივით შავ-ბნელ მდინარისაკენ!..

ბაღში კივიან ლურჯი ვარდები,
ყვავილთა გუნდი უკვე გადახმა,
ზამთარი მოდის თეთრი ფარდებით
და თოვლმა მთები დაფარა გაღმა!

გული სისხლისგან დაცარიელდა,
მე ვიღუპები, ჩემო, თანდათან.
ნუგეშო დაო, ძვირფასო დედა!
სადღაც ღამეა... სადღაც ინათა.

ჩემი სახელი ღმერთს დაავიწყდა,
ჩემს უცნაურ გზას არ უჩანს ბოლო.
ცა უსაზღვროა... ცივია მიწა
და ყველაფერი ქარია მხოლოთ.

მე გუშინ დილას დავკარგე თავი,
მას ცოფიანი ძაღლები კბენენ...
ყორნების გუნდი უკან მომჩხავის
და ღამეები მიმასვენებენ...

**დავით კობიძე.**

## ჩვენი მსახიობნი



**ლ. მესხიშვილი.**

**ედიშ.** ეგ არაფერი. მდაბიო მოქალაქე არც ისე ხელწამოსაკრავია. ხშირად ბევრ მყვირალა მოწინავეზე მაღლა სდგას. (შერმანდოს) **ბიჭი ხარ და წინ დამიდგები.** მოვდივარ თოფითა და ჯინჯილითა.

**შერ.** ვით შეჰფერის ნამდვილ პამპულას

**ელპ.** ედიშერ მე თქვენ მაშინებთ.

**ედიშ.** ყოჩაღათ იყავი. გიწამლებთ და ყველაფერი გაივლის.

**ელპ.** თურმე ავად ვყოფილვარ და მე არ ვიცოდი.

**ედიშ.** **ხატი, სჯული** ეს ასეა. უნდა მოგახსენოთ, რომ სიყვარული ისედაც ავადმყოფური პროცესია, მაგრამ თუ იმას ამ რაინდის სექსუალბაცილებიც შეერია, მორჩა. (გიორგის) არიქა შეატყობინე სადაც ჯერ არს, მოახდინონ სასწრაფო დეზინფექცია, რათა აქედან განიბნიონ ყოველნი ეშმაკეულნი და სხვა ძალნი ჯოჯოხეთისანი?

**შერ.** არ ვურჩევ ბ-ნ მამრაძეს ჩემი მოთმინების ბოროტად გამოყენებას.

**ელპ.** ძმად ნაფიცო, მოთმინება მეც მეკარგება, ვინაიდან მეტად ულირსად იხსენიებთ იმ კაცს, ვინც მე ასეთი გატაცებით მიყვარს და ვისაც უნდა სამუდამოდ შეუერთო ჩემი ბედი.

**ხალ.** ფუ, უსირცხვილო!

**ედიშ.** ქ-ნო სალომე!

**სალ.** (შვილს) მომიკვდი შენ, მომიკვდი.

**ედიშ.** (ელპიდას) საყვარელო, ეს საქმე უთუოდ უნდა ჩავშალო, ყოველ შემთხვევაში, მე ჩემსას ვიტყვი და მერე-კი, როგორც გენებოთ, ჩემი გულწრფელი სურვილია, რომ მეგობარი და იშვიათი სულის ადამიანი, სულ ერთია, ვისი მეუღლეც უნდა იყოს იგი, მეგულებოდეს შედარებით კაი პირობებში. (შერმანდოზე) პირად ცხოვრებაში ეს ის ბატონია, ვისაც თავისი წონა ცოდვები მიუძღვის ქალთა მიმართ; როგორც მშვენიერთა ცნობილი მუსუსი და მართლმორწმუნე სექსუალისტი, თვის უნებურად ყველასათვის საფრთხეს წარმოადგენს და თუ მიუშვით, თქვენ საბუდარზე ერთი დედალიც არ დარჩება დაუსუნთქავი.

**შერ.** (წამოხტება გაბრაზებული) მოწყალეო ხელმწიფევ, თუ თავს არ დამანებებ, მე მაგ გესლით სავსე გულს სამუდამოდ დავადუმებ. (რევოლვერს უმიზნებს, ქალები შეჰკივლებენ და წამოხტებიან).

**გიორ.** (ისიც წამოხტება) შესდექით!

**შერ.** უკაცრავად, უკაცრავად! (რევოლვერს ჯიბეში იდებს. სალომე ჯდება ისევ).

**ელპ.** (დგას თავ-დახრილი, ოდნავ ცალ ხელით ზურხარს მიბჯენილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო სახლის ქართული დრამა



სახალხო სახლის ქართული დრამის სცენის მოყვარე-მსახიობნი.

**გიორ.** (აღელვებული შემანდ·ს) მოგიწოდებთ წესიერებისაკენ. რა გინდ მკაცრი და უსამართლო არ იყოს თქვენ მიმართ ედიშერ მამრაძე, იარაღს მაინც არ უნდა მიმართოთ... მტრის იერიშები თქვენმა სიმართლემ უნდა მოიგერიოს.

**ედიშ.** (დინჯად შერმანდოს) დაბრძანდით, დაბრძანდით, იარაღზე ნუ მიდგება საქმე, თორემ ჯიბეში მეც მიძევს ორლულიანი და თუ გავარდა, ისე დაიჭექებს როგორც დიდი ზარბაზანი. რაკი მიზანში ამოგიღებ, მოხდება მარცხი, რის გამო მტერნი ერთ განგაშს ასტეხენ და იტყვიან, რომ „საქართველო ·ი·ა ქვეყანაა, სადაც კრიტიკოსები პოეტებზე ნადირობენო". (ელპიდას) დაო ჩემო, გემუდარებით, ცალმხრივობა არ შემწამო, ჩემებრ გულწრფელი დამფასებელი ამ ჩვენს მგოსანს ორიც არ ჰყავს საქართველოში. დიდათ ვწუხვარ, რომ მისი ქებაც და გამათრახებაც მე მარგუნა მუხთალმა ბედმა. ახ, რა კარგი იქნებოდა, რომ ამ დიად ნიჭს და ფრიად მოსაწონ გარეგნობას, ამკობდეს სპეტაკი სულის შარავანდედი. მაშინ ოსანნას ვუგალობებდით და გზას ია-ვარდებით მოუფენდით.

**გიორ.** ედიშერ მორჩი, თუ ძმა ხარ, ნუ სტანჯავ ამ კაცს. ვერ წარმოიდგენ რა აუტანელია ყოველივე ეს.

**ელპ.** არა, გიორგი! მე მოვითხოვ, რომ ედიშერმა ეხლა ყველაფერი სთქვას.

**მერ.** (მარჯვნივ ოთახის კარებიდან გამოიხედავს) ძია, ვახტანგი გეძახით. (გიორგი გადის).

**ედიშ.** (გიორგის) ცოტაც და--ბაგენი ჩემნი დადუმდებიან. თუ ფიქრობ, დაგიბრუნო უარმყოფელი ცოლი, შემცდარი იქნები. არა, ერეკლიძევ. ამას მე შენ არ გაკადრებ.

**ელპ.** დედა, უზენაესი ყოფნას მიბნელებს. ახლოს მოდი ჩემთან, მეშინია. ჩემი მზე ჩასავლისკენ მიექანება, მგ·.ნი ცაც უნდა ჩამოინგრეს და თავზე დამეცეს.

**ხალ.** აქა ვარ შვილო, აქა ვარ შენი ჭირიმე! (მივა მასთან).

**ელპ.** შერმანდო! ხელთათმანი გესროლეს, რატომ არ გინდა აილო?

**შერ.** ელპიდა! (ედიშერზე) ეს ვაჟბატონი საქართველოში მოხეტიალე ტრუბადურია, რომელსაც თითო გუდა ჭორი მუდამ ჰკიდია ზურგზე. სარგებლობს იმით, რომ მაგის ვინაობას ჩვენში მაგრე რიგათ არავინ იცნობს, მაგრამ დამნაშავის თვალები და გულის ამრევი ცინიზმი, საკმაოდ აშუქებენ საეჭვო კაცის ვინაობას. განხორციელება რუტინისა და რეაქციისა, მოსისხლე მტერია ახალი ადამიანის და მისი გაზაფხულის. ეს გაშმაგებული იერიშიც ამისი

# წამება ქვებთან

ეს კოშკი როცა მოვალ, ივსება სულებით და მკრთალ გამურულ ჩუქურთმას ეხახუნება გამხმარი ხელი.

დავტოვე ქვეყანა და ჩემი სული მივეც სატანას საბოლოოდ.

მხოლოდ ხატება მარიამის მიგზავნის მოციქულს და ინთება ტაძარი:

როცა მკვდარ ქაოსში შეიჭრა ჩემი ვედრება და ბადიაში ჩარჩენილი ზეთის ფირფიტა აკანკალდა.

შური დაიბნა, რადგან სულმა თბილ საბნის ქვეშ იგრძნო ყოფნა.

ვუცდი, გრიგალს!..

ო, ჩემი სული დაობლდა ამდენ ტანტალით' რადგან ჩემ სამლოცველოს თალს, კიდევ ერთი ლოდი მოაკლდა.

ვეამბორე შავ ხატს...

და ჩემ ქვითინზე დახშულ სარკმლიდან ჩამოცვივდა შავი მტვერი თოვლად სახარების ფურცელზე.

ღამის სიჩუმე მიიღებს ჩემ ამბორს.

უვადოა შენი მდუმარება ჩემო სულო.

ბევრის მეტყველია იმ ცივი ლოდის მკვდარი შემოხედვა, ვიდრე შენი უსიცოცხლო მუმია სახე.

ნუ გეშინიან სულო!.. იქნებ გასტანოს ჩემ ვედრებამ ხვალ დილამდის.

იქნებ წამებამ ჩაიაროს ჩუმად...

და ვუცდი გრიგალს!..

რომ გარიყოს ჩემ ტაძრიდან მკვდარი სულები.

მოვა ნიაღვარი ალბად.

გაშმაგებული ამბორი იუდასი ჩაგვივლის კიდევ.

და ვერცხლის ჭუჭყი შეაძრწუნებს ჩემს ტაძარს.

გადივლის შენს თავზე ტაძარო ბევრი მეხი, იქნებ ერთი იმათგანი იყოს ბედი ჩვენი საბოლოო!..

ნესტიანი კედლები... ხავსის ვარაყი ძველ კრამიტის ნაოჭებზე... ჯვარი გატეხილი... კუბო ოქრო-ვერცხლით მოჭედილი... და ხვეული კიბე მიდგმული ძველ ზღაპრებთან; ნათესავია ჩემი! — მაგრამ:

უვადოა შენი მდუმარება სულო.

კაიუს!.. იქნებ შენი სულია გართხმული ამ შავ კუბოში.

მცივა...

მე ვეტყვი მზეს, რომ აქ ვარ ნესტიან ქვებთან ჩათესილი:

და იქნებ ეს მყრალი წუმპეა, უვადო ტანჯვის დასაბამი.

ო, ნესტიანო ქვებო! ისევ თქვენ იყავით მარგალიტნი ჩემი სულის დასამშვენებლად.

კიდევ გადივლის ჩემ სამლოცველოზე ჭოტი.
მისი ხმა ეფეთება სარკმელს.

და ვუცდი გრიგალს!..

მესმის გმინვა, ოხვრა, ტირილი, გამქრალ სულთა და მაგონდება: ბერი უდაბნოში.

მისი ლანდი ჩამივლის წინ.

დავხედავ საკურთხეველს, სადაც ფერფლილაა დიდი ცეცხლის, რომელიც აშუქებდა შავ სარკმელებს.

და იქვე ფილაქანზე ნაღვენთი.

ო, მეშინიან... გრიგალო გიცდი!..

სავსეა ტაძარი შხამით.

**კაიუს პელი.**

---

შედეგია. ვერ დაგიფარავ, რომ ჩემს წარსულში, მართლაც, იყო შეცდომები, მაგრამ ეხლა გულწრფელად მსურდა განვბანილიყავ თქვენი უმწიკვლოების ემბაზში და ახალი გზით წარმემართა ცხოვრება ჩემი.

**ედიშ.** ვსთქვათ მართალი ხარ, მაგრამ სჯული რომ ნებას არ მოგცემს?!

**შერ.** (ირონიით) ხა—ხა—ხა—ხა! ასეთი ჩამორჩენილი კაცი საქართველოში ცნობილი კრიტიკოსია. სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოვო, ამაზე იტყვიან სწორედ.

**ელპ.** (ედიშერს) გადაჭრით მოვითხოვ მითხრათ ყოველივე, რაც კი იცით ამ კაცის შესახებ.

**ედიშ.** ოდნავ ავხდი ფარდას მაგის წარსულს და ორიოდე მაგალითს მოგახსენებთ სანიმუშოდ.

**ელპ.** ბრძანეთ!

**ედიშ.** უწინარეს ყოვლისა უნდა ვიცოდე, რომ ისევ მენდობით და გჯერათ ჩემი.

**ელპ.** გენდობით როგორც არავის.

**შერ.** (ადგება) მაშ მე აქ მეტი ვარ, მშვიდობით.

**ელპ.** შერმანდო, დარჩი!.. გამარჯვებული უნდა გამოხვიდე უთუოდ ამ ბრძოლიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკათ გაგისწორდები, ჩემ გრძნობათა შეგინებისათვის, დაჯექი და მოუსმინე ბრალმდებელს.

**შერ.** უკაცრავად!.. ყველა იმის შემდეგ, რაც მაკადრეს, აქ დარჩენა თუნდ ერთის წუთითაც, თავის დამცირებათ მიმაჩნია.

**ელპ.** დაჯექი მეთქი გეუბნები.

**გიორ.** (შემოდის და გაჩერდება ბუხართან პაპიროსით პირში).

**შერ.** ბატონებო! თქვენ შეგიძლიათ გამასამართლოთ როგორც მგოსანი, თუ რაიმე დანაშაული მიმიძღვის ამ დარგში, დანარჩენი არ შეგეხებათ პირადობასთან რა გესაქმებათ. შორს ჩემგან, ბ-ნო მამრაძევ, თქვენი მეშჩანური ხელები! (დემონსტრატიულად გადის).

**ედიშ.** ბრალდებული გაიქცა, ეხლა რას იტყვით.

**ელპ.** (აღელვებული წამოდგება).

**სალ.** დამშვიდდი, ჩემო გოგონა, დამშვიდდი? ედიშერ მიშველე ლამის წაიქცეს.

**ედიშ.** (სწრაფად მივა და ხელს მოჰკიდებს) ნათლია ჩემო, მეტად ხარ აღელვებული, დაისვენეთ, დანარჩენებზე ხვალ მოვილაპარაკოთ.

**ელპ.** (გასწორდება და მტკიცედ) დაასაბუთეთ ბრალდება (ჯდება).

**ედიშ.** აი ვიწყებ: ამ რამოდენიმე ხნის წინად პოეტმა სართანიძემ თავი შეაყვარა ერთ ინტელიგენტურ ოჯახის მეტად სიმპატიურ ქალიშვილს. სულ მალე ის ფეხმძიმე შეიქნა, სწორედ მაშინ, აიღო და მიატოვა. შეწრიალდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვენერას თვალები

მე რომ ჩემი ლურჯა გამოვაქროლე, შენ აივანზე იჯექ და ხელსახოცის ქნევით თვალი გამომაყოლე.

შენი მზერა არე-მარეს აკაშკაშებდა.

მხიბლავდა,

მწვავდა,

მიმონებდა

და მეც დავრწმუნდი, რომ ტრფობის ღმერთა ვენერას ცისფერი თვალები ჰქონია.

—

ეხლა?

ჩემი ლურჯა დაღალულია.

მომხიბლავ თვალებს მისი ქროლვა ველარ იზიდავს.

დროთა ბრუნვით დაუნდობლად შემოძარცვული მეც მივალ სხვაგან სამუდამოთ დასასვენებლად.

აივნის თავზე გაბმულ ვარდებს ფოთლები სცვივა.

შენც ზიხარ მარტო და მოწყენით გაიყურები.

აღარა მჯერა, რომ ვენერას ცისფერი თვალები ჰქონოდეს.

ნიკ. გვანცალაძე.

## ჩვენი რეჟისორები



ალ. ახმეტელი.

---

მთელი ოჯახი, მიუგზავნეს კაცი, მაგრამ უარი შემოსთვალა: რო მაწამოთ, ცოლს მაინც ვერ შევირთავო და ამით სრული სიმართლეცა სთქვა. ძმებმა მოკვლა დაუპირეს, მაგრამ შეურაცხყოფილი ქალის მუდარამ გასჭრა და ყოველივე წყვდიადმა შთანთქა, როგორც ამალამ. რომ არ გახმიანებულიყო, ქალს მუცელი მოსწყვიტეს, ეს ამბავი მხოლოდ მე გამანდვეს. ზემოდ თქმულს დაამტკიცებს ქალის მამის მიერ ჩემდამი მონაწერი წერილი, რომელშიაც ის გულდათუთქული მაუწყებს საქმის ვითარებას და მთხოვს მე, ქართული ლიტერატურის გენერალ-პროკურორს, გამოვეხმაურო მისი ოჯახის დიდ უბედურებას და რითიმე ვანუგეშო. მთხოვეს აგრედვე, თუ საჭიროდ დავინახე, წარვუდგე მოხსენებით ქართველ მგოსანთა პირუთვნულ სამსჯავროს, სადაც სახელის გამტეხი წევრის საქმენი საგმირონი ჯეროვანად იქნება შეფასებული, მაგრამ ჩვენ, მაგას, რა თქმა უნდა არ ჩავიდენთ.

**ელპ.** (გააწყვეტინებს) ახ, კმარა, კმარა. (შეირბენს მარცხნივ და პალტო გადაცმული ისე მალე გამოვა).

**სალ.** (ხმის კანკალით) ეს რა ამბავია?

**ედიშ.** საით ნათლია?

**ელპ.** ნუ მეკითხებით (მიდის კარებისაკენ).

**სალ.** ნეტა სად მიდის! ედიშერ მიშველე, შენი ჭირიმე!

**ედიშ.** (გზას გადაულობავს) ვერ გაგიშვებთ.

**ელპ.** მიზეზი?

**ედიშ.** იქ, გასავალთან, სდგას პირდაღებული გველეშაპი, მისი სახელი დუხჭირი ცხოვრებაა.

**ელპ.** გამიშვით, არაფრისა არ მეშინიან.

**ედიშ.** ჯერ მე მომკალით და მერე რაც გენებოთ ის ჩაიდინეთ.

**ელპ.** ღმერთო ჩემო, როგორ შევრცხვი, როგორ მომეჭრა თავი! (წასკდება ცრემლთა ნაკადული)

**ედიშ.** ეჰე, გაწვიმდა, კარგი ნიშანია.

**სალ.** ნუ სტირი, მოგიკვდეს დედა, ნუ სტირი.

**ედიშ.** არაფერია, იწვიმოს, იწვიმოს; მალე გადაიღებს და ცა ისევ ვარსკვლავებით მოიჭედება. (ელპიდას) ნათლია ჩემო! ყველა ამის შემდეგ, თქვენი ბერიეთში წაყვანა სულზე მისწრება იქნება და წავიყვანთ კიდეც.

**სალ.** ედიშერ მამრაძევ, იკურთხოს შენი სახელი, უკუნეთი უკუნისამდე.

ფ ა რ დ ა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორი ხელოვნება გვჭირდება ახლა

(თეზისები)

ბევრ ჩვენებურ ხელოვანს დღესაც ჰგონია, თუ ის რასმე „ხელოვნურს“ შექმნის, საბჭოთა რესპუბლიკაშიაც მისალები იქნება ისე, როგორც ეს ძველ დროს იქნებოდა. მას ავიწყდება, ან ჯერ კიდევ შეგნებულ-შეგრძნობილი არა აქვს, რომ ხელოვნური ანუ ესთეტიური ღირებულების საზომი წინათ სხვა იყო, ახლა კი სხვა. ამიტომ ჩვენებურ ხელოვანთა საყურადღებოდ საჭიროთ მიმაჩნია განვმარტო, თუ როგორი ხელოვნება გვჭირდება დღეს საქართველოში.

სამწუხაროთ დრო და გარემოება ამჟამად მაიძულებს, რომ ეს **განმარტება** მხოლოდ თეზისების სახით მივაწოდო მკითხველს.

მით უმეტეს, რომ მიმდინარე წლის 2 იანვარი ჩვენებური ტრადიციული თეატრალური დღე მავალებს ამას.

1. ჯერ გავითვალისწინოთ საერთო საფუძვლები, ხოლო შემდეგ განსაკუთრებული პირობები, რომ შევქმნათ საქართველოსთვის ნამდვილი ცხოველმყოფელი სახელოვნო პროგრამა და მუშაობის გეგმა..

საერთო საფუძვლები შემდეგია: ა) ხელოვნება საერთოდ კულტურის ანუ იდეოლოგიის ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი დარგია; ბ) ყოველი ისტორიული ეპოქა თავისი განსაკუთრებული კულტურით ხასიათდება; გ) მიმდინარე ხანა გარდამავალი ხანაა და ის წარმოადგენს კაპიტალისტური ეპოქის დასასრულს და სოციალისტური ეპოქის დასაწყისს; დ) აქედან მიმდინარე ხანის, გარდამავალი ხანის კულტურული შემოქმედება-მუშაობა შეიცავს კაპიტალისტური კულტურის **საჭირო** ძველი ელემენტების **შეთვისებას** და სოციალისტურის, ახალი ელემენტების **შექმნას. საჭირო ძველის შეთვისება და საჭირო ახლის შექმნა**, აი დევიზი ყოველი ახალი ეპოქის დასაწყისის იდეოლოგიურ შემოქმედება-მუშაობისა.

2. სწორედ ეგევე ითქმის კერძოთ ხელოვნებაზე, მხოლოდ აქ საკითხავია: რისი და როგორი შეთვისებაა საჭირო ყველა წარსული (ძველი) კულტურიდან და ვის მიერ შეთვისება? ეს ერთი, ხოლო მეორე—საჭიროა ვიცოდეთ: ვინაა საჭირო ახლის სოციალისტური კულტურის მთავარი შემოქმედი ახლანდელ გარდამავალ ხანაში.

3. ამ კითხვებზე რომ სისწორით და შეურყევლად ვუპასუხოთ, საჭიროა, მოვიგონოთ მიმდინარე ხანის საზოგადოებრივი ვითარება, რომელიც, როგორც ვიცით, პროლეტარული რევოლიუციით ხასიათდება: დღეს მსოფლიო პროლეტარული რევოლიუცია სწარმოებს და მაშასადამე ცხოვრების ყოველ მხარეს, იდეოლოგიურსაც, რა თქმა უნდა (ამას გრ. რობაქიძეც კი აღიარებს თავის წერილში ჟურ. «Пламя» № 11), თავის ბეჭედს ასვამს, ყველაფერი პროლეტარული ხელიდან გამოდის, მაშასადამე - ხელოვნების საქმეც.

4. მსოფლიო პროლეტარიატი არის ის ერთადერთი კოლექტივი, რომელიც ზემოთ წამოყენებულ, ცხოვრებიდან წარმოშობილ კითხვებზე უპასუხებს.

5 პირველ კითხვაზე ის გადაჭრით გვეუბნება: ყველა წარსულ კულტურიდან და, მაშასადამე, კაპიტალისტურიდანაც საჭიროა მხოლოდ ის, 1. რაც ჩემი კლასობრივი ბრძოლის ინტერესებისათვის ორგანიზაციას ჰქმნის და 2, რაც იმავე დროს კაცობრიობის განვითარების საერთო ინტერესებს ემსახურება. აქ წინააღმდეგობა, საბედნიეროთ, არ არსებობს, ამიტომ ეს ორი პირობა განუკილებლად დაცული უნდა იქმნას.

6. მეორე კითხვის პასუხიც აქედან გამომდინარეობს: ახალი, სოციალისტური კულტურის ელემენტებს ჰქმნის პროლეტარიატის საზოგადოებრივი, კოლექტიური ყოფა ცხოვრება, რომელიც ემყარება იმ საზოგადოებრივ-კლასობრივ როლს, **რომელიც წარმოებაში ისტორიამ მას დააკისრა**.

7. წარსული იმპერიალისტურ-კაპიტალისტური ხანის წარმოშობაში იგი მხოლოდ „შემსრულებლის“ როლს ასრულებდა, ხოლო დღეს პროლეტარულ სახელმწიფოებრივ კაპიტალისტურში (ეს მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციაში) მისი (მსოფლიო პროლეტარიატის) ერთი დიდი ნაწილი „შემსრულებელ ორგანიზატორის“ როლსაც ასრულებს: საბჭოთა რესპუბლიკებში ის **წარმოების „ორგანიზატორიც“ უნდა იყოს და „შემსრულებელიც“, ვინაიდან იგი ისტორიულად მოწოდებულია წარმოებაში „ორგანიზატორ-შემსრულებელი“ იყოს და არა მხოლოდ „შემსრულებელი“**.

8. პროლეტარიატის კულტურულ-იდეოლოგიური როლიც აქედან გამომდინარეობს: თუ წინად როგორც ნივთიერი, ისე სულიერი კულტურის შემომქმედი ბურჟუაზია და მისი საშოდან გამოსული ბურჟუაზიული ინტელიგენცია იყო, ახლა ეს როლი, კულტურის შემომქმედის როლი გადადის პროლეტარიატზე, პროლეტარულ „ინტელიგენციაზე“. ამიტომ წინანდელი კულტურა **იყო „ბურჟუაზიული“**, ხოლო ახლანდელი **ხდება** (საბჭოთა ფედერაციაში) **„პროლეტარული“**, ვინაიდან პროლეტარიატი ჩვენი პლანეტის ერთ მეექვსედზე უკვე **გახდა მთელი საზოგადოების დიქტატორი, როგორც კლასი.**

9. კლასი კი და მისი ელემენტები ჰქმნიან ამ კულტურას (ამ შემთხვევაში პროლეტარიატი) და არ შეიძლება, რომ მან ამ კულტურას თავისი კლასობრივი ხასიათი და ელფერი არ მისცეს. კულტურის შინაარსი და ფორმა განსაზღვრული კლასის იდეოლოგიური გამოხატულებაა და ამ იდეოლოგიის შთამგონებელი თვით განსაზღვრული კლასია, დასასრულ პერსონალურათაც შემომქმედი ამ კულტურის ამავე კლასის წარმომადგენელია.

**რაჟდენ კალაძე.**

(დასასრული შემდეგ ნომერში)



კოტე ყიფიანი

**სვიმონ ლეონიძე** („სამშობლო“): აღთქმა... სამშობლო არ დაგავიწყდეს!

## ა. ეიხენვალდი—ოპერა „დაისი“-ს შესახებ

სახელმწიფო საოპერო თეატრის დირექციამ, ცნობილ კომპოზიტორ-ეთნოგრაფ ანტონ ეიხენვალდისგან შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო:

„შემთხვევით მოვხვდი რა ოპერა „დაისის“ პირველ წარმოდგენას, არ შემიძლიან ეს მოვლენა უყურადღებოდ დავსტოვო და არ მივესალმო დირექციას ამ ყოვლად მშვენიერ დადგმის გამო.

უკანასკნელ 5, 6 წლის განმავლობაში ჩვენში არ დაწერილა არც ერთი დიდი მუსიკალური ნაწარმოები, რის გამოც განმტკიცდა ის აზრი, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში, მუსიკალური შემოქმედება გაიყინა და ჩაკვდა. მაგრამ მოვისმინე თუ არა ზაქ. ფალიაშვილის ახალი ოპერა „დაისი“, მე დავრწმუნდი წინააღმდეგში, და ყოველ შემთხვევაში, ასეთი შეხედულობა არ შეიძლება არსებობდეს საქართველოში მაინც.

ზაქ. ფალიაშვილს ხალხური სიუჟეტზე და ხალხურ სიმღერებზე შეუქმნია მშვენიერი ოპერა, რომლის მუსიკა გხიბლავთ თვისი სიახლით, ბრწყინავს ნაციონალურ კოლორიტის სილამაზით და თავისი გულწრფელობით იპყრობს მსმენელს.

დიდება და პატივი ზაქ. ფალიაშვილს—ასეთ მშვენიერ ნაწარმოების შექმნისათვის, მაგრამ მისი უფრო დიდი დამსახურება გამოიხატება იმაში, რომ იგი სწერს და ნიჭიერად—მხატვრულად ამუშავებს ქართულ ხალხურ სიმღერებს. მის მიერ მშვენივრად გადამუშავებული ხალხური ქართული სიმღერები მომხიბლავია თავისი სილამაზით; მისი სშვენიერი ჰარმონიზაცია და დამახასიათებელი ორკესტროვკა უფრო მეტ კოლორიტით არის ავსავსე და უშუალოდ ნათელჰყოფს ხალხურ სიმღერების სილამაზეს.

ოპერა „დაისი“, მიუხედავად თავის არა რთულ პიესის ფაქტურისა დრამატიზმის მხრივ, ნიჭიერად დაწერილ მუსიკის წყალობით, დიდად საინტერესოა მისი მოსმენა და უნდა ვიფიქროთ, რომ მისი წარმატება უზრუნველყოფილი იქნება.

ოპერა მშვენივრად არის შესწავლილი და დადგმული. საერთოდ კი წარმოდგენა მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს.

გთხოვთ მიიღოთ, ძველი ტფილისის თეატრალურ მოღვაწისაგან, ჩემი გულწრფელი სალამი.

**ან. ეიხენვალდი.**

ტფილისი.
19 დეკ. 1923 წ.

## ჩვენი საფლავები

თან მწუხრის საგალობელთა გულმომწყვლელი გრძნობის მომგონებელი და თან კი ღვთიურობამდე აზიდული ნეტარების ამშლელია ეს სიტყვები:

„ჩვენი საფლავები“...

მათში ჩასახული სახელები ქართული სახიობის მწვერვალები არიან და თავისი შარავანდედით დღესაც მოსავენ დანარჩენთა ქმედობას, თუ სამოქმედარს...



**კ. მესხი—ნერონი.**

ვლ. მესხიშვილი, ნატო გაბუნია, კ. მესხი, ვ. შალიკაშვილი და სხვანი ჩვენთვის მარადად სამახსოვრო ქურუმნი იქმნებიან. ეს სახელები ჩვენი სამსახიობო ღირსებისა, მთლიანი საქართველოს „პუან დ'ონორ“-ის გამომსახველნი არიან და მათ საფლავებზე ყოველთვის იციაკროვნებს პატიოსანი ერის პატიოსნური სიყვარული...

ტფილისი, შუა ქართლი და გურია მათ სავანეთა სახელებია. აქ დაიბრწო და აქვე დაიმსხვრა მათი აღმზრდელი აკვანი... მათი სულის ცვლილე-

ბათა კამარა მთელ საქართველოში იკრეფდა მკვიდრი შემაერთებელი თალის მასალას და თავის სივრცეში იტევდა ჩვენი აღზრდისა, ჩვენი შეგნებისათვის საჭირო ნაკვთებს...

ჩვენი საფლავები სამშობლოს სხვა და სხვა კუთხეში მოთავსებულან, მაგრამ მათი კურთხეულობის ნაპერწკლები მჭიდროდ ეცემიან ერთმანეთს და ერთ მთლიან კოცონსა ჰქმნიან, რათა თავისი არსი სამარადისოდ დაუვიწყარ ჰყონ...

ლადო, ნატო, გიორგი, ვალიკო და სხვანი თავის სახელებს თვით იმეორებენ და ჩვენ მხოლოდ ყურმახვილობა გვმართებს, რომ მათი ძახილი შევისმინოთ, მათი საფლავების მეთვალყურენი ვიყვეთ.

ჩვენი საფლავები ყურთაგდებას ითხოვენ, ჩვენი საფლავები დღესაც ჩვენი დამრიგებელნი არიან, მაშ ჩვენი ბრწყინვალე დღესასწაულის, მსახიობთა დღის უქმობაშიც არ დავივიწყოთ ეს სამარენი და მივიდეთ მათთან, ქონებრივათ თუ არა, გონებრივათ მაინც ავსახოთ მათი დიადობა.

**მიხ. ხერხეულიძე.**

## იოსებ იმედაშვილს!

უძლეველ ენერგიით, მოხვალ მოიპარებ:
ხელში ორად გეშლება „თეატრი და ცხოვრება";
ვრჩებით შენს დანახვაზე ყველა განახარები,
რადგან ჩვენში მძლავრია შენი დამახსოვრება.

ჰკრთი და თანაც გემჩნევა ყოფნით დაიმედება,
ჰგრძნობ, რომ ისევ გაათბე ჩვენი ცივი გულები.
ერთგულ დარაჯს ქვეყნისას, პირზედ ალი გედება,
შენსკენ თუ იხედება ბედით დაჩაგრულები.

ხელოვნების კოცონზე ვიცი როგორ იწვები;
ვიცი რა გულწრფელობით დნები მთლად სიყვარულად;
კვლავ მეტი გატაცებით -- შრომის ფარჩით ირთვები.
აჩნევ შრომის ნაყოფს და იღიმები ფარულად!

ეხლა უფრო ინათებს შენი დამსახურება;
დღეს თუ აიმარცვლება სიტყვა შენი კალამის,
მომავალი დიადი ახლოდან იყურება...
დროა მისი მიღების, დროა მისი სალამის.

და შენ, ჩვენო მხცოვანო, ბრძოლით განაკაჟები,
კიდევ მძლავრად გადასცემ ძახილს დაღლილ პაროლებს.
შენთან მოვალთ ყველანი: მოხუცნი თუ ვაჟები,
ბედი თანაზიარი შენთან თუ მოგვაქროლებს...

ეხლა სხვა განცდებია. დღეს სხვა სული ამინდობს.
მჭეობს შემოქმედება—მომხიბლავი ფერებით.
ვიცი შენი სახელით ხალხი მოყვრად დამინდობს.
ჩემთან ერთად სხვაც მოვა შენთან ტკბილ სიმღერებით.

**არსენ ვადაჭკორია.**

## დავიწყებული მწერალი ქალი


მარიამ გარიყული

დამაფიქრებელი ცნობა მივიღეთ სოფლიდან.

მარიამ გარიყული უსასოო მდგომარეობაშია თურმე, ნივთიერად შევიწროვებული.

და ეს ის მარიამ გარიყულია, რომელმაც თვითმპყრობელობის ხანაში—ცხრაასიან წლებში არაჩვეულებრივი ნაბიჯი გადადგა.

ახალგაზრდა, 16—17 წლის გასათხოვარმა, ქალმა, კალათით წიგნები აიღო და ქართ. ავრცელებდა მუშათა წრეებში, ქუჩებზე, მდაბიო ხალხში, ქართველ პროლეტარიატში.

იმ დროს ასეთი ნაბიჯი მართლა და დიდი თავგანწირულება იყო, რადგან ახალგაზრდა ინტელიგენტთ ვაჟნიც კი თაკილობდნენ ასეთ საქმეს.

იმავე ხანებში სცენაზე გამოვიდა—ტფ. სახალხო სახლსა და ქუთაისში.

მაგრამ ყველა ეს არ იკმარა: ვითარცა ხალხური მწერლის ქალმა (ლუკა თათეიშვილის ასულია) კალამს მოჰკიდა ხელი და მრავალი მოთხრობით დაამშვენა ჩვენებური ჟურნალ-გაზეთები.

1905 წ. ცალკე წიგნად გამოვიდა მისი მოთხრობა „ჯაშუში".

ამის შემდეგ უკანასკნელ ხანამდე ათავსებდა მოთხრობებს თითქმის ყველა გამოცემაში.

საგანი მისი მოთხრობებისა—ჩვენი ყოფა-ცხოვრებაა, უმთავრესად მდაბიო ხალხის სულიერი განცდა, ნივთიერ-უფლებრივი ბედუკუღმართობა.

მარიამ გარიყულის ნაწარმოებთა ერთი დიდი ტომი—დაახლოვებით 200 გვერდი, 40-მდე მოთხრობა, სახელმწიფო გამომცემლობას გადაეცა განსახილველად და გამოსაცემად.

თავისი ნაწერებით მარიამ გარიყული მკითხველში მუდამ კეთილშობილ გრძნობებს აღვივებდა;

თვითმპყრობელობისაგან განმტკიცებულ აზრონების მძიმე ბორკილ-ხუნდებს ამსხვრევდა;

ხალხს უკეთესი მომავალის რწმენას უნერგავდა, წინსვლის წყურვილს უძლიერებდა, განახლებული ცხოვრების მიზნებს უსახავდა.

და აი ასეთი **მწერალი ქალი** დღეს მივიწყებულია,—

სიმშილ-სიცივისგან სულ შეხუთული.

შავბნელი წარსულის დროს, თვითმპყრობელობის ხანაში მარიამ გარიყული გაბატონებულთა წრიდან თუ **გარიყული** იყო, დღეს ასე აღარ უნდა იყოს.

— მარიამ გარიყული—მარიამ შევრდომილად უნდა გადიქცეს.

სიყვარულით, თანაგრძნობით, მზრუნველობით გაუთბოთ გული.

და, გვწამდეს, ამის შემდეგ კიდევ უფრო გაცხოველდება კალამი მისი.

**იოსებ იმედაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუშა-მწერლები

## სურვილი

მინდა მზისა სხივი ვიყო,
ცის მიწასთან შემაერთი;
მინდა ხელში ჩანგი მეპყრას,
ვადიადო მუზის ღმერთი.
მინდა ტრფობის ბადე ვქსოვო,
რომ გავაბა ყველა ქსელში:
სიყვარულით მტრობა მოვსპო, —
მოვესწრო ჩემ სიცოცხლეში.
მინდა ცის და ქვეყნის შუა
კიბე ვნახო ამართული:
მზეს პირისპირ ესაუბროს
ბედისაგან დაჩაგრული.

შაქრო ნავთლუღელი.



**ნიკ. გალუსტოვი.**

ნამამგდარი მოკარნახე ქართული თეატრისა (გარდ.)



ვ. შალიკაშვილი.



კ. შათირიშვილი.

# სახელოვნო ქრონიკა

## სამშობლოში

**ორი იანვარი** მთავრობის დადგენილებით მსახიობის დღესასწაულად დაიდო.

**ფოსტა ტელეგრაფის კავშირის** კლუბში ამ ჟამად სწარმოებს გაცხარებული მუშაობა: ჰხატავენ ახალ დეკორაციებს კლუბისა და თეატრის სცენებისათვის. საქმეს ხელმძღვანელობს საოლქო კავშირის კომიტეტის და ამავე კლუბის გამგეობის თავმჯდომარე პრ. ბერძნიშვილი, გ. დოლიძის და თ. ნასიძის უახლოესი მონაწილეობით. კვირაში ორი წარმოდგენა იდგმის (ქართ. და რუს.) კავშირის წევრთათვის. წარმოდგენებს წინ უძღვის ლექცია-მოხსენებანი, იმართება კონცერტები. რეჟისორობენ მ. ჯომარჯიძე, ს. სულხანიშვილი და თ. ნასიძე (ესევე ხელმძღვინელობს კონცერტებს).

**სახალხო სახლის** რეჟისურა (ივ. ბარველი, მ. ღვამიჩავა) ამ ახლო ხანში დასდგავს ახალ პიესებს ახალი დეკორაციებით და ტანისამოსით.

**ავლაბრის სცენის მოყვარენი**, რადგან ადგილობრივ კლუბში შესაძლებლობა არა აქვთ წარმოდგენების მართვისა, ორთაჭალაში გადაბარგდენ და იქ მართვენ წარმოდგენებს. ხალხი მრავალი ესწრება. ავლაბარი ქართულ წარმოდგენებს მოწყვეტილია.

**მუშათა ცენტრალურ კლუბში** სახალხო სახლის ქართული დრამა შაბათობით გამართავს ქართულ წარმოდგენას, ივ. ბარველისა და მ. ღვამიჩავას რეჟისორობით.

**სახალხო სახლის** წრეს გადაუწყვეტია დასდგას ჰ. ჰაუპტმანის პიესა ,,ფიქრები" კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით. მზადება დაიწყება იანვრის შუა რიცხვებში, დაიდგმის—თებერვლის პირველ რიცხვებში. იხატება დეკორაციები და მზადდება ტანისამოსი.

**მთავრობის დადგენილებით** 2 იანვარს მთელ საქართველოში გაიმართება წარმოდგენები, რომლის 50 პროც. წმინდა შემოსავლიდან გადადებულ უნდა იქნეს ქართველ მსახიობთა კავშირისათვის.

**მსახ. კავშ. საბჭოს გადაწყვეტილებით** მიმდინარე სეზონში გაიმართება სამი იუბილე: ტ. აბ ის, ნ. გოც-ის და მარო მდივნისა.

### დრამატურგია

**ივ. მაჭავარიანი სთარგმნის** ერთ მოქმედებიან კომედიას ,,მწვანე თუთიყუში". მოქმედება სწარმოებს ბასტილიის აღების დღეს, საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს.

**ს. მგალობლიშვილის მოთხრობა** ,,ჯორ ზაქარა" გ. დოლიძეს პიესად გადუკეთებია და დაიდგმის ტ.-ტელ. მ. ცხაკაიას სახელობის კლუბის სცენაზე.

**სოლ, ახვლედიანი**, სახალხო სახლის გამგეობის თავმჯ., ფრანგულიდან სთარგმნის ვოლფის პიესა ,,სერობა".ს. პიესა დაწერილია გერმანულ ენაზე, რუსეთის რევოლიუციონურ ცხოვრებილან, გერმანულიდან ფრანგულათ არის ნათარგმნი. პიესას დიდი სახელი აქვს საფრანგეთში, შეიცავს სამს მოქ. და ძლიერ საყურადღებოა, როგორც სასცენოსახელოვნო და რევოლიუციუნურ შინაარსის ნაწამოები.

### მწერლობა

**„პოეტის ქაფა"** — გრ. ცეცხლაძის ლექსთა კრებული, ავტორის ორიგინალური სურათით გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცა. ლექსები ახალი ყაიდისაა. შეიცავს 32 გვ. ღირს 35 კ.

**კომპ. ნ. სულხანიშვილის** ცხოვრებიდან რომანს სწერს თ. მაღაროელი (ნასიძე), ავტორი რომანის „დედა კონიასი". რომანს ეწოდება „ტანჯული სული". შესდგება სამი ნაწ.

**ს. მგალობლიშვილმა** დაამთავრა ლეგენდა—რომანი, „მზეთუნახავი გული", რომლის რვა თავი დაბეჭდილი იყო ქუთაისის ჟურ. „განთიადში" 1913 წ.

**ახალ დიდ მოთხრობას** სწერს ს. მგალობლიშვილი ბატონყმობის ცხოვრებიდან „პირველი ღამე", რომელსაც პიესათაც გადააკეთებს.

**ახალგაზრდა მგოსანმა** კოკი ებრალიძემ (ტალღამ) დაამთავრა თვისი ახალი პოემა „ტყის ქალი", გურიის ცხოვრებიდან, ორ ნაწილად. ამბავი შეეხება გასული საუკუნის 40 იან წლებს.

# უცხოეთი

## თეატრი.

**ნინა ალექსი-მესხიშვილისა**, ლადოს მეორე ქალიშვილი, თამაშობს პეტროგრადში ყოფილ საბუროვის თეატრში („პასაჟ") პრემიერშად.

**ელეონორა დუზე** გასტროლობს ვენაში. პირველად გამოვიდა იბსენის „ქალი ზღვიდან"-ში.

**„უაკერია" მერიმესი** პეტროგრადის სახალხო სახლში იდგმება ტურცევიჩის რეჟისორობით.

**ვს. მეიერჰოლდი**, ცნობილი რეჟისორი, ამზადებს თავის თეატრში მოსკოვში ახალ პრემიერას ოსტროვსკის პიესას „ტყე".

**ტოლლერის „ევგენ უბედურს"** რადლოვი სდგამს პეტროგრადის მიხაელის თეატრში.

**მოსკოვის კამერულ თეატრში** მორიგ პრემიერამ ჩესტერტონის „კაცი, რომელიც იყო ხუთშაბათი", თავის მემარცხენე დადგმით დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პრესაში.

**ვარშავას თეატრებში** დიდის ანშლაგით იდგმება ინგლისელ დრამატურგის ბერნარდ შოუს პიესები.

**მაქს რეინჰარდტი**. ცნობილი გერმანელი რეჟისორი ამერიკას გაემგზავრა საგასტროლოდ.

## ცეკვა.

**ბალეტმეისტერი გ. ბალანჩივაძე**, ჩვენი თანამემამულე, მიწვეულია პეტროგრადის ყოფილ მიხაელის თეატრში.

**ანნა პავლოვა**, განთქმული რუსი მოცეკვავე, დიდის ამბით ცეკვავს ლონდონის კოვენგარდენის თეატრში.

## დრამატურგია.

**პაულ გურკის ახალი დრამა** „ტომას მიუნცერ" თავისი სტრუქტურით უახლოვდება გიოტეს „გეც ფონ ბერლიხინგენ"-ს და პ. პაუპტმანის „ფლორიან გეიერ"-ს.

**გერმანელი დრამატურგის გ. კაიზერის** პიესა „ჟილ და ჟანნა". სულ სხვანაირად აშუქებს ჟანნა დნარკის ცხოვრებას. კაიზერი ჟანნა დნარკის ისტორიაში ხედავს სიყვარულის ტრაღედიას. საფრანგეთის მარშალი ჟილ დე რე, გატაცებულია გმირი ქალწულით, მისი დახმარებით დ' არკი იმარჯვებს ინგლისელებზე. ჟანნა უარყოფს მარშალის სიყვარულს. მარშალი შურს იძიებს. მისი ყალბი ცნობების თანახმად ჟანნას სიკვდილს უწყვეტენ. თვით ჟილ დე რე კოცონზე იღუპება: მას პასუხისგებაში აძლევენ სამარცხვინო საქციელისათვის ქალების მიმართ, რომლებზედაც ის შურს იძიებს ჟანნას მიერ უარყოფილ სიყვარულისთვის.

ეს პიესა პირველათ დაიდგა ლეიპციგის ძველ თეატრში 1923 წ. ივნისში და ვერ დასტოვა დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება.

## მუსიკა.

**ვიქტორ დოლიძე** ამჟამად მოსკოვში მოლაპარაკებას აწარმოებს ოპერა ზიმინას დირექციასთან „ქეთო და კოტეს" და „ლეილას" დადგმის შესახებ რუსულ საოპერო სცენაზე.

**ბარიტონი დოლონაძე**, რომელიც წარსულ სეზონში ტფილ. სახელ. ოპერაში მღეროდა, მღერის პეტროგრადის ყოფილ მიხაელის თეატრში.

**გუსტავ ბრეხერი**, განთქმული გერმანელი დირიჟორი, დანიშნულია ლაიპციგის საქალაქო ოპერის მთავარ დირიჟორად.

**გუსტავ მალერის** სიმფონიების ციკლი უკვე დაიწყო ბერლინში კლაუს პრინგსჰეიმის დირიჟორობით.

**მიშელ და'რიალი** (მ. ნანობაშვილი), სახელგანთქმული მომღერალი, პარიზიდან მიუწვევიათ ესპანეთის დედა-ქალაქ მადრიდის ოპერაში.

**ირაკლი ორბელიანი**, ახალგაზრდა ნიჭიერი პიანისტი, ბერლინიდან საკონცერტოთ გამგზავრებულა პარიზს.

## მხატვრობა.

**ცნობ. რუსი მხატვარი პავლე კუზნეცოვმა** მოაწყო თავის სურათების გამოფენა პარიზში ბარბაზანჟის გალერეაში.

**ნიკ. რეირიხი**, რუსი მხატვარი, ამერიკიდან ინდოეთს გაემგზავრა სპირიტიულ საქმეების გამო.

## კინო.

**ტომას მანნი**, განთქმული გერმანელი მწერალი სწერს „ტრისტან და იზოლდის" სცენარის კინო-ფილმასთვის.

## სხვადასხვა.

**გლეხთა კომიტეტები**, სოც.-უზრუნველყოფის კომისარიატის თაოსნობით, თან და თან კავშირდებიან და კულტურულ საქმიანობის სურვილს იჩენენ.

ამას წინად სენაკის მაზრის გლეხთა კომიტეტების კონფერენციაზე გამოითქვა აზრი და მაზრის საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტს დაევალა ქ. სენაკში მოაწყოს გლეხთა სახლი, რომელშიაც შეეძლოს მიიღოს სოფლებიდან ჩამოსულმა გლეხობამ სულიერი საზდოც. აქ მოწყობილი იქნება წიგნთსაცავ-სამკითხველო, ლექციები და სხ.

**რედაქციისაგან:** ამ ნომრისთვის ბევრი მომზადებული მასალა გადაიდო.

რედაქტორი: **იოსებ იმედაშვილი.**
გამომცემელი: **ომში დაჭრილთა შრომის არტელი „ახალი წრე"**

ნ. დ. სამხ. ცენზ. № 918. სტამბა „ზარია ვოსტოკა"-სი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტირაჟი 2000

## წიგნების გამომცემელი ამხანაგობა

# „სორაპანი“-ს

## წ ი გ ნ ი ს   მ ა ღ ა ზ ი ა

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო წიგნები, ახალი დ ნახმარი ქართულსა დ რუსულ ენაზე.

მისამართი: გიორგევის ქუჩა № 5. დარაბა № 1113.

## ს ა ს ტ უ მ რ ო   „ნ ო ე“-სთან

მოწყობილია სრულიად ახალ მდიდრულად მორთული!

# სასადილო-რესტორანი „ნოე“

## საუკეთესო სამხატვრო თეატრით,

რომელიც გაიხსნა 31 დეკემბერს

## მოწვეული არიან გამოჩენილი არტისტიული და სამხატვრო ძალები.

პლეხანოვის პრ. № 103.

პატივისცემით ნ. ხიხარულიძე.

## მკერავი   ა. პიკელნი   მკერავი

რუსთვ. პროსპ. № 12

# სეზონის უკანასკნელ მოდით

# პარიზის და ლონდონის

ჟურნალების მიხედვით სრულდება დაკვეთა მხატვრულის გემოვნებით. იქვე მიიღება ყოველგვარი სამუშაო

## ბეწვეულობის ნივთებზე.


4 3

# ომში დაჭრილთა შრომის არტელ „ახალ წრე თან“

არსებული საგანმანათლებლო სექცია

## „კულტურა“

ამით აცხადებს მკითხველი საზოგადოების,

მოწაფეთა მშობლებ ს და სტუდენტების

საყურ დღებოდ,

რომ მას მოეპოება ყოველგვარი სახელმძღვანელო საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთათვის და პოლიტიკური და სიტყვა-კაზმული ლიტერატურა.

**ბითუმათ მყიდველებს წიგნები მიეცემათ პროც. დაკლებით.**

მსურველთ წიგნები დაეთმობა შეღავათიან პირობებში—ნაწილ-ნაწილ დათქმულ ვადებში ფულის გადახდით. დაწვრილებით პირობებს გაცნობა შეიძლება სექციის ბინაზე.

აქვე იყიდება

**„თეატრი და ცხოვრებ “-ს**

ყველა ნომრები და მიიღება ხელის მოწერა.

**მისამართი:** თავისუფლების (ერევნის) მოედანი, ქარვასლაში, მეორე სართული.

## რე ტორანი
## „მცხეთა“

(ლენინისა და ყორღანოვის ქ. კუთხე, № 5, ზემმელის აფთიაქის ქვეშ)

**სადილი** (2 საათიდან), **ვახშამი** (ღამის 12 საათამდე)

ევროპიული და ჩვენებური

## საცივი, ხარშო, ღომი.

სანოვაგე ახალ-ახალი.

**ფასები ხელმისაწვდენი.**

ყოველ დღე სიმებიანი ორკესტრი.

4—1

პატივისცემით სერგო კახეთელიძე.